უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი შეფასება
- I შუალედური გამოცდა ტარდება მეშვიდე სასწავლო კვირაში და მოიცავს პირველი ექვსი კვირის მასალას. (20-ქულა)
- II შუალედური გამოცდა ტარდება მეთოთხმეტე სასწავლო კვირაში მოიცავს შემდეგი ექვსი კვირის მასალას. 20 ქულა
- III შუალედური გამოცდა ტარდება მეთორმეტე კვირაში და მოიცავს ბოლო სამი კვირის მასალას ან სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მასალას-30 ქულა.

	<ul style="list-style-type: none"> • დასკვნითი გამოცდა -30 ქულა. <p>შეფასების მეთოდი:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტესტი; • ზეპირი გამოკითხვა; • ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი; • დაკვირვება და დემონსტრირება.
საკონტაქტო პირი (მალხაზ ხუციშვილი / 5 9393 88 90 / m.khutsishvili@gtu.ge / მ.კოსტავას №69 , სტუ-ს II კორპუსი)	

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა		
შემდუღებელი		
პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)		
60		
მისანიჭებელი კვალიფიკაცია		
შემდუღებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია		
სწავლების ენა		
ქართული		
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი		
<p>პროგრამის მიზანია მოამზადოს მეხუთე საფეხურის შემდუღებელი, რომელსაც შეუძლია შესაძულ დეტალთა კონფიგურაციისა და მასალათა გვარობის მიხედვით განსაზღვროს მათი შედუღებადობისუნარი, შეირჩიოს საჭირო ტექნოლოგია და განახორციელოს ნებისმიერი სირთულის შენადული კონსტრუქციის შედუღება.</p>		
საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი		
ცოდნა და გაცნობიერება	აქვს პროფესიულ საქმიანობასთან	აქვს საშემდუღებლო ტექნოლოგიასთან და საქმიანობასთან დაკავშირებული

	<p>დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, მიღებული აქვს ცოდნა შედუღების პროცესების მექანიზაციასა და ავტომატიზაციასთან დაკავშირებით. იცის ნაკერის ხარისხის დიაგნოსტიკის მეთოდები. აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს. დაუფლებულია მეწარმეობისა და მენეჯმენტის საფუძვლებს. იცის თავისი და მისდამი დაქვემდებარებული ჯგუფის შრომის რაციონალური ორგანიზება.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად</p>	<p>შეუძლია შეასრულოს შედუღება ნებისმიერ სივრცით მდგომარეობაში, ჩაატაროს ნაკერის ხარისხის კონტროლი. დამოუკიდებლად გადაწყვიტოს წარმოქმნილი პრობლემები. შესაძლებელი მასალის გვარობისა და სისქის მიხედვით შეარჩიოს შედუღების მეთოდი, ტექნოლოგია და რეჟიმის პარამეტრები. უზრუნველყოს შენადული ნაკერის ხარისხი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. დაგეგმოს და წაუძღვეს საშემდუღებლო საქმიანობას.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული</p>	<p>შეუძლია შედუღებასთან დაკავშირებული პრობლემების ამოცნობა, მათი</p>

		<p>პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>გადაჭრისათვის სათანადო გადაწყვეტილებების მიღება. შენადული ნაკერის დიაგნოსტიკის შედეგების გაანალიზება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა</p>
	<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა</p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე შედუღებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა</p>

<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა, შეუძლია დამოუკიდებლად შეისწავლოს შედეგების თანამედროვე სტანდარტები, დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდები, უფრო ღრმად გაერკვეს შედეგების ტექნოლოგიებსა და მოწყობილობაში, შედეგების წარმოების მენეჯმენტში.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს</p>	<p>შეუძლია საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა და მოქმედებების განსაზღვრა და წარმართვა ამ მიმართულებით. აფასებს საკუთარ და სხვათა დამოკიდებულებას ელექტრორკალური შედეგების სპეციალისტის პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი და უზიარებს სხვებს.</p> <p>უფრთხილდება სამუშაო გარემოს და მკაცრად იცავს არა მარტო თავის, არამედ კოლეგების სამუშაოს უსაფრთხოების წესებს. გრძნობს პასუხისმგებლობას მიმდინარე პროცესებისა და ადამიანებისადმი. შეუძლია სიტუაციის მართვა და გაუმჯობესება.</p>

შეფასების წესი

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

შუალედური შეფასება

- დასკვნითი შეფასება
 - I შუალედური გამოცდა ტარდება მეშვიდე სასწავლო კვირაში და მოიცავს პირველი ექვსი კვირის მასალას. (20-ქულა)
 - II შუალედური გამოცდა ტარდება მეთოთხმეტე სასწავლო კვირაში მოიცავს შემდეგი ექვსი კვირის მასალას. 20 ქულა
 - III შუალედური გამოცდა ტარდება მეთორმეტე კვირაში და მოიცავს ბოლო სამი კვირის მასალას ან სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მასალას-30 ქულა.

	<ul style="list-style-type: none"> • დასკვნითი გამოცდა -30 ქულა. <p>შეფასების მეთოდი:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტესტი; • ზეპირი გამოკითხვა; • ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი; • დაკვირვება და დემონსტრირება.
<p>საკონტაქტო პირი (მალხაზ ხუციშვილი / 5 9393 88 90 / m.khutsishvili@gtu.ge / მ.კოსტავას №69 , სტუ-ს II კორპუსი)</p>	

<p>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა</p>	
<p>ფარმაცევტის თანაშემწე</p>	
	<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)</p>
	<p>120</p>
	<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>
	<p>ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია</p>
	<p>სწავლების ენა</p>
	<p>ქართული</p>
	<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>
	<p>პროგრამის მიზანია ფარმაცევტულ საწარმოებში, ლაბორატორიებში, აფთიაქებში და ფარმაცევტულ ბაზებში მომუშავე სათანადო ცოდნისა და კომპეტენციების მქონე ფარმაცევტის თანაშემწის ისეთი პროფესიული კადრების მომზადება, რომლებიც თავისი საქმიანობით ხელს შეუწყობენ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში ფარმაცევტული საქმიანობისათვის უსაფრთხო პირობების შექმნას, რისკ-ფაქტორების დროულ გამოვლენას, სათანადო რეაგირებისათვის ინფორმაციულობის უზრუნველყოფას. შეძლებენ აქტიურად ჩაერთონ წამალთფორმების მომზადების პროცესში ფარმაცევტული საქმიანობის განხორციელებისას.</p>

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი		
<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>იცის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ზოგადი საფუძვლები; იცნობს ფარმაცევტულ წარმოებაში და ანალიზურ ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესებს; იცის ფარმაცევტული ხსნარების, ფხვნილების, გამონაცემების, მონახარშების, მალამოების საჭიროებისამებრ მომზადების ზოგადი თეორიული საფუძვლები; იცნობს წამლის ხარისხის კონტროლის და ქიმიურ ტოქსიკოლოგიური ანალიზის ზოგად თეორიულ საფუძვლებს; იცის წარმოების საწყობში შემოსული ნედლეულისა და მასალების მიღება, აღრიცხვა; იცის წარმოების პროცესის დაწყებით სტადიაზე (დამხმარე სამუშაოები) ნედლეულისა და მასალების მომზადების (აწონვა, დაწვრილმანება, გაცრა, შერევა, სხვადასხვა გამხსნელების მომზადება, გახსნა, აორთქლება, შრობა და ა.შ) თეორიული საფუძვლები; იცის მომზადებული პროდუქტის დაფასოება, შეფუთვა, მარკირება; განთავსება. იცის</p>

			<p>ფარმაცევტული პროდუქციის (მედიკამენტები, ბიოლოგიურად აქტიური დანამატების, პარასამკურნალო საშუალებების), სამედიცინო დანიშნულების საქონლის - საგნების, მასალების, შემავსებლის, დამხმარე და ძირითადი ნივთიერებების მიღება-განთავსება, შენახვის პირობების უზრუნველყოფა, სერიული აღრიცხვა და ვარგისობის ვადის კონტროლი. აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის დროს წამოჭრილი პრობლემების ხასიათსა და სირთულეს პოულობს გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p>
	<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემის შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>შეუძლია: ფარმაცევტული ხსნარების, ფხვნილების, გამონაცემების, მონახარშების, მალამოების დამზადება აფთიაქში, ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტის წაკითხვა. რეცეპტის შესაბამისად, ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით; წარმოების საწყობში შემოსული ნედლეულისა და მასალების მიღება, აღრიცხვა; მცენარეული, ცხოველური და</p>

		<p>მინერალური ნედლეულის დამზადება, შრობა, შენახვა. პირველადი დამუშავება (დაწვრილმანება, გაცრა, შერევა); სხვადასხვა გამხსნელების მომზადება, გახსნა, აორთქლება, შრობა; ტექნოლოგიური ოპერაციების: (დაფასოება, შეფუთვა მარკირება) განხორციელებაში მონაწილეობა; ფარმაცევტული პროდუქციის: (მედიკამენტები, ბიოლო-გიურად აქტიური დანამატები, პარასამკურნალო საშუალებები), სამედიცინო დანიშნულების საქონლის-საგნების, მასალების, შემავსებელი, დამხმარე და ძირითადი ნივთიერებების მიღება-განთავსება, შენახვის პირობების უზრუნველყოფა და ვარგისობის ვადის კონტროლი; მესამე ჯგუფისათვის მიკუთ-ვნებული ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაცია; ფარმაცევტული ანალიზისათ-ვის ლაბორატორიის მომ-ზადება;რეაქტივების, ინდი-კატორების, ტიტრიანი ხსნარების, ბუფერული ხსნარების მომზადება შესაბამისი ნორმატიულ-ტექნიკური</p>
--	--	---

			<p>დოკუმენტის მიხედვით, ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით; ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის ობიექტების გარეგნული დათვალიერება, შეფასება, სინჯების აღება და დამუშავება; წამლის ხარისხის კონტროლის და ქიმიურ - ტოქსიკოლოგიური ანალიზის განხორციელება ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით; დოკუმენტაციის წარმოება; სხვებისათვის საკუთარი ცოდნის გადაცემა.</p>
	<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>უნარი შესწევს: ფარმაცევტული ნედლეულის, სამკურნალო საშუალებების, რეაქტივების და სამედიცინო დანიშნულების საქონლის შენახვის პირობების დარღვევის შესახებ დასაბუთებული დასკვნის გაკეთება და აღმოფხვრისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; ფარმაცევტული ნედლეულის, სამკურნალო საშუალებების და რეაქტივების ვარგისიანობის ვადების კონტროლი და დასაბუთებული</p>

			დასკვნების გაკეთება დროული რეალიზაციის ან ამოღების აუცილებლობის შესახებ.
	<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევ-რულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p>	<p>შეუძლია ქართულ და რომელიმე უცხოურ ენაზე კომუნიკაცია, ინფორმაციის მიწოდება და ანგარიშის წარდგენა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, რეცეპტის მიხედვით სამკურნალო საშუალებების აფთიაქის პირობებში მომზადების ტექნოლოგიების, ფარმაცევტული, ნედლეულის, პროდუქციის და რეაქტივების ვარგისიანობის ვადებისა და მათი შენახვის პირობების შესახებ; შეუძლია მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდება მესამე ჯგუფისათვის მიკუთვნებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან დაკავშირებით. უნარი შესწევს ეფექტურად გამოიყენოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ფარმაცევტული საქმიანობის უზ-რუნველსაყოფად; უნარი შესწევს გადასცეს და გაუზიაროს მიღებული ცოდნა და</p>

		ინფორმაცია. აქვს დემონსტრირების უნარი.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულების განსაზღვრა შემდგომ ეტაპზე სწავლის გაგრძელებისა და ახალი ტექნოლოგიების ათვისების მიზნით.
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.	მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას; იცავს და სხვებსაც მოუწოდებს დაიცვან პროფესი-ული ეთიკის ნორმები.
შეფასების წესი		
<p>შეფასების ზოგადი წესები: სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. ხუთი სახის დადებით შეფასება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; • (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; • € - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; • € - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>ორი სახის უარყოფით შეფასება:</p>		

	<ul style="list-style-type: none"> • (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.</p> <p>პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.</p> <p>შეფასების ფორმა:</p> <ul style="list-style-type: none"> • სამი შუალედური შეფასება • დასკვნითი გამოცდის შეფასება <p>შეფასების მეთოდი:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტესტირება; • პრეზენტაცია.
საკონტაქტო პირი (თამარ ცინცაძე / 599 15 66 78/ t.tsintsadze@gtu.ge / მ.კოსტავას №69 , სტუ-ს II კორპუსი)	

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	
არქიტექტორ - ტექნიკოსი (გრაფიკოსი)	
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
	- 60
	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
	- არქიტექტორ - ტექნიკოსის (გრაფიკოსი) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
	სწავლების ენა
	- ქართული
	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
	- პროგრამის მიზანია მოამზადოს მეოთხე საფეხურის არქიტექტორ - ტექნიკოსი (გრაფიკოსი), რომელსაც შეუძლია: შენობის არქიტექტურული აზომვა, არქიტექტურული საპროექტო ნახაზის

	<p>ტექნიკური შესრულება - ტრადიციული, გრაფიკული მეთოდით და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების საშუალებით.</p>
	<p>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი</p>
	<ul style="list-style-type: none"> - ცოდნა და გაცნობიერება: აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს. იცნობს არქიტექტურული დაგეგმარების, საპროექტო, სამშენებლო საქმის, არქიტექტურული ფოტოგრაფირების, მაკეტირების, არქიტექტურული დეტალების მერწვა-მოდელირების ზოგად საფუძვლებს, ორიენტირებულს საპროექტო პრაქტიკულ საქმიანობაზე; იცის არქიტექტურული დაგეგმარებისთვის საჭირი კომპიუტერული პროგრამები და არქიტექტურული საპროექტო ნახაზის ტექნიკური შესრულება; გაცნობიერებული აქვს მშენებლობის მენეჯმენტის საფუძვლები; აქვს შრომის უსაფრთხოებასთან და არქიტექტურულ საპროექტო საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხის ზოგადი ცოდნა. - ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესშიგამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები. შიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის გადასაჭრელად შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით. შეუძლია ხელმძღვანელის მითითებით შემდეგი სამუშაოების პრაქტიკულად შესრულება: საპროექტო ტერიტორიის ან სარეკონსტრუქციო შენობის არქიტექტურული აზომვა: ესკიზიდან სათანადო ნახაზების შესრულება, ტრადიციული, გრაფიკული მეთოდით და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების საშუალებით; ქალაქგეგმარებითი პროექტის წაკითხვა, წინასაპროექტო კვლევის ჩატარება, მასალის კომპიუტერული დამუშავება, სივრცული ფოტოგრაფირება, მაკეტირება; გუნდური მუშაობა; დამოუკიდებელი მუშაობა და პასუხისმგებლობა ჯგუფის მიერ შესრულებულ სამუშაოზე. მცირე ინდივიდუალური მეწარმეობა. - დასკვნის უნარი: შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი. შეუძლია არსებული მეთოდების გამოყენებით ლოგიკური აზროვნება; სათანადო მონაცემების ანალიზი სტანდარტული პრობლემის/ამოცანის გაცნობიერება, ჩამოყალიბება, პროფესიულ

კონტექსტში მისი გადაჭრის საშუალების გააზრება; კონკრეტული ტექნიკური პრობლემის ანალიზი;

პროფესიული ლიტერატურიდან და სხვა წყაროებიდან შესაბამისი ტექნიკური ინფორმაციის მოძიება და ინტერპრეტირება.

– **კომუნიკაციის უნარი:**

შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.

აქვს უნარი აწარმოოს ეფექტური კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე (წერილობითი, ვერბალური და ნახაზების საშუალებით);

შეუძლია უცხო ენაზე სპეციალობასთან/პროფესიასთან დაკავშირებული მარტივი ტექსტების, განმარტებების გაგება, კოლეგებთან ურთიერთობა, პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა; ფლობს დროის ეფექტურად მართვის უნარს; შეუძლიათ კომუნიკაცია თავიანთ ცოდნასთან, უნარებთან და საქმიანობასთან დაკავშირებით კოლეგებთან, ხელმძღვანელებთან და მომხმარებლებთან თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით.

– **სწავლის უნარი:**

შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა, განჭვრეტად თუმცა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში.

მიღებული ცოდნა საშუალებას მაღალი დონის საგანმანათლებლო პროგრამები. აძლევს აითვისოს უფრო დამოუკიდებლად გაიფართოოს ცოდნა არქიტექტურული დაგეგმარების საკითხებში. გამოიყენოს არქიტექტურული ინფორმატიკისა და კომპიუტერული დაგეგმარების საშუალებები უახლესი არქიტექტურული პროექტების ტექნიკური შესრულებისთვის.

– **ღირებულებები:**

პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიულ საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.

	<p>აქვს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებები: შეუძლია სათანადო არქიტექტურული ნახაზების შესრულება, ტრადიციული, გრაფიკული მეთოდით, შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების საშუალებით. იცნობს უსაფრთხოების წესებს; მეწარმეობის საფუძვლებს; აქვს პასუხისმგებლობა როგორც პირადად, შესასრულებელი სამუშაოებისადმი ასევე ჯგუფის მიერ შესრულებულ სამუშაოზე.</p>
	<p>შეფასების წესი</p>
	<p>დადებით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; • (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; • (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; • (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.</p> <p>პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.</p> <p>პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.</p> <p>სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის შეფასება ხორციელდება პრაქტიკის გავლის საფუძველზე (ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტის წარდგენით) შუალედური და დასკვნითი შეფასებით.</p>

	<ul style="list-style-type: none"> • შუალედური შეფასება (სულ 3 შუალედური შეფასება: I – მაქს. ქულა 20; II – მაქს. ქულა 20; III – მაქს. ქულა 30) • დასკვნითი შეფასება (მაქს. ქულა 30)
<p>საკონტაქტო პირი (მარინე მაისურაძე / 593 31 32 97 / marina_maisuradze@ymail.com / მ. კოსტავას ქ. N 68, სტუ-ის IC კორპუსი, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი)</p>	

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	
არქიტექტორ - ტექნიკოსი (გრაფიკოსი)	
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
	- 60
	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
	- არქიტექტორ - ტექნიკოსის (გრაფიკოსი) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
	სწავლების ენა
	- ქართული
	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
	- პროგრამის მიზანია მოამზადოს მეხუთე საფეხურის არქიტექტორ - ტექნიკოსი რომელსაც შეუძლია: შენობის არქიტექტურული აზომვა, არქიტექტურული საპროექტო ნახაზის ტექნიკური შესრულება - ტრადიციული, გრაფიკული მეთოდით და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების საშუალებით; მცირე მოცულობის არქიტექტურულ სამუშაოებთან დაკავშირებული ინდივიდუალური მეწარმეობა.
	საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი
	<p>- ცოდნა და გაცნობიერება:</p> <p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p> <p>იცნობს საპროექტო და სამშენებლო საქმის ზოგად საფუძვლებს, ორიენტირებულს საპროექტო პრაქტიკულ საქმიანობაზე; იცის შენობის ნაწილები და არქიტექტურული საპროექტო მოცემულობის ტექნიკური შესრულება; გაცნობიერებული აქვს მშენებლობის მენეჯმენტის</p>

საფუძვლები; შრომის უსაფრთხოებასთან და არქიტექტურულ საპროექტო საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ზოგადი საკითხები; გაცნობიერებული აქვს მეწარმეობის საფუძვლები.

– **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**

შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად; საპროექტო ტერიტორიის ან სარეკონსტრუქციო შენობის არქიტექტურული აზომვა; ესკიზიდან სათანადო ნახაზების შესრულება ტრადიციული, გრაფიკული მეთოდით და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების საშუალებით; სამრეწველო და დამხმარე ნაგებობების, საზოგადოებრივი შენობების და სხვა სახის მოცულობითი და ქალაქგეგმარებითი პროექტის წაკითხვა, წინასაპროექტო კვლევის ჩატარება, მასალის კომპიუტერული დამუშავება, სივრცული ფოტოგრაფირება, მაკეტირება, გუნდური მუშაობა; დამოუკიდებელი მუშაობა პასუხისმგებლობის აღება ჯგუფის მიერ შესრულებულ სამუშაოზე. მცირე მოცულობის არქიტექტურულ (აზომვითი, ფოტო და ვიდეო მასალების მომზადება, არქიტექტურული ნახაზის შესრულება) სამუშაოებთან დაკავშირებული ინდივიდუალური მეწარმეობა.

– **დასკვნის უნარი:**

შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება; სათანადო მონაცემების ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით; ლოგიკური აზროვნება; პრობლემის/ამოცანის გაცნობიერება, ჩამოყალიბება, პროფესიულ კონტექსტში მისი გადაჭრის საშუალების გააზრება; კონკრეტული ტექნიკური პრობლემის ანალიზი; პროფესიული ლიტერატურიდან და სხვა წყაროებიდან შესაბამისი ტექნიკური ინფორმაციის მოძიება და ინტერპრეტირება.

– **კომუნიკაციის უნარი:**

შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტების და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო

	<p>ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა. აქვს უნარი აწარმოოს ეფექტური კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე (წერილობითი, ვერბალური და ნახაზების საშუალებით); შეუძლია უცხოურ ენაზე სპეციალობასთან დაკავშირებული მარტივი ტექსტების, განმარტებების გაგება, კოლეგებთან ურთიერთობა, პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა; ფლობს დროის ეფექტურად მართვის უნარს; იყენებს თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებს..</p> <p>– სწავლის უნარი: შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p> <p>მიღებული ცოდნა საშუალებას აძლევს აითვისოს უფრო მაღალი დონის საგანმანათლებლო პროგრამები. დამოუკიდებლად გაიფართოოს ცოდნა არქიტექტურული დაგეგმარების საკითხებში. გამოიყენოს არქიტექტურული ინფორმატიკისა და კომპიუტერული დაგეგმარების საშუალებები უახლესი არქიტექტურული პროექტების ტექნიკური შესრულებისთვის.</p> <p>– ღირებულებები: აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი და უზიარებს სხვებს იცნობს და იცავს უსაფრთხოების წესებს აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა, როგორც პირადი, ასევე ჯგუფის მიერ შესრულებული სამუშაოს მიმართ.</p> <p>შეუძლია სპეციალისტის ეთიკური პროფესიული, უსაფრთხოებისა და ჰიგიენური ნორმების საკითხების გაცნობიერება და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის დემონსტრირება.</p>
	<p>შეფასების წესი</p>
	<p>დადებით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; • (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; • (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; • (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

	<p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.</p> <p>პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.</p> <p>პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.</p> <p>სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის შეფასება ხორციელდება პრაქტიკის გავლის საფუძველზე (ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტის წარდგენით) შუალედური და დასკვნითი შეფასებით.</p> <ul style="list-style-type: none"> • შუალედური შეფასება (სულ 3 შუალედური შეფასება: I – მაქს. ქულა 20; II – მაქს. ქულა 20; III – მაქს. ქულა 30) • დასკვნითი შეფასება (მაქს. ქულა 30)
<p>საკონტაქტო პირი (მარინე მაისურაძე / 593 31 32 97 / marina_maisuradze@ymail.com / მ. კოსტავას ქ. N 68, სტუ-ის IC კორპუსი, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი)</p>	

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	
არქიტექტორ - ტექნიკოსი	
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
	- 138
	მისანიჭებელი კვალიფიკაცია

	- არქიტექტორ-ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
	სწავლების ენა
	- ქართული
	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
	– პროგრამის მიზანია მოამზადოს არქიტექტორ-ტექნიკოსი, რომელიც შეძლებს პროექტის ხელმძღვანელის დახმარებას არქიტექტურულ-სამშენებლო საპროექტო სამუშაოების განხორციელების პროცესში; საპროექტო ტერიტორიის ან სარეკონსტრუქციო შენობის არქიტექტურულ აზომვას: ესკიზიდან სათანადო ნახაზების შესრულებას, ტრადიციული, გრაფიკული მეთოდით და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების საშუალებით; ქალაქგეგმარებითი პროექტის წაკითხვას, წინასაპროექტო კვლევის ჩატარებას, მასალის კომპიუტერულ დამუშავებას, სივრცულ ფოტოგრაფირებას, მაკეტირებას; საპროექტო - ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენას.
	საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი
	<p>პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • არქიტექტურული ობიექტის ესკიზური პროექტის საფუძველზე მუშა პროექტის ნახაზის შესრულება /გამოხაზვა/; • არქიტექტურულ ობიექტზე აზომვითი სამუშაოების შესრულება; • არქიტექტურული ობიექტის ფოტოვიზუალიზაცია; • არქიტექტურული ნახაზის შესრულება ტრადიციული გრაფიკული მეთოდით; • არქიტექტურული ნახაზის შესრულება კომპიუტერული პროგრამების საშუალებით; • არქიტექტურული ობიექტის მაკეტის შესრულება; • საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა.
	შეფასების წესი
	<ol style="list-style-type: none"> 1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი. 2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

	<p>3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:</p> <p>ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;</p> <p>ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.</p> <p>4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.</p> <p>5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.</p>
<p>საკონტაქტო პირი (მარინე მაისურაძე / 593 31 32 97 / marina_maisuradze@ymail.com / მ. კოსტავას ქ. N 68, სტუ-ის IC კორპუსი, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი)</p>	

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	
კრიმინალისტი	
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
	60
	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
	კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მესამე საფეხურის კვალიფიკაცია
	სწავლების ენა
	ქართული
	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
	პროგრამის მიზანია აღზარდოს თანამედროვე მოთხოვნების კრიმინალისტი, რომელიც წვლილს შეიტანს ჩვენი საზოგადოების სამართლებრივი შეგნების მქონე საზოგადოებად გარდაქმნაში და ქვეყანაში კრიმინალისტიკის განვითარებაში. მოამზადოს კურსდამთავრებული, რომელსაც ექნება

საგამომიებო მოქმედებებში სისხლის სამართლის ნორმების დაცვით მონაწილეობის უნარი, შემთხვევის ადგილის შესწავლის, მატერიალური მტკიცებულებების აღმოჩენის, ფიქსაციისა და ამოღების უნარი.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება

აქვს კრიმინალისტიკისთვის დამახასიათებელი ძირითადი პრინციპების, ზოგადი კონცეფციებისა და ფაქტების ცოდნა, აცნობიერებს გართულულებული ამოცანების შესრულებისათვის გადასადგმელ ნაბიჯებს.

იცის: სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი პრინციპები, სამართალდამცავი და საგამომიებო ორგანოების ადგილი აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების სისტემაში, მათი საქმიანობის განხორციელების კანონიერი პრინციპები, კრიმინალისტიკის პროფესიული ამოცანები. იცნობს საგამომიებო მოქმედების განხორციელების თანმიმდევრობას და გამოძიების უსაფრთხოების საკითხებს.

იცის კრიმინალისტიკური ტექნიკა და მეთოდოლოგია, მათ შორის ფოტო და ვიდეო ტექნიკის გამოყენებით საგამომიებო მოქმედებების პროცესუალური საკითხები. იცის სქემების შედგენა პირობითი ნიშნებისა და კოორდინატების გამოყენებით.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლია კრიმინალისტიკის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების გამოყენება, დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომების შეფასება და მათი განხორციელებისათვის სათანადო მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების შერჩევა მისადაგება.

აქვს მატერიალური მტკიცებულებების აღმოჩენისა და ფიქსაციის უნარი.

შეუძლია:

შემთხვევის ადგილის სქემის შედგენა, პირობითი ნიშნების კოორდინატებისა და მასშტაბების გამოყენებით;

ნვთიერი მტკიცებულებების აღმოჩენა ფიქსაცია და ამოღება, პროცესუალურად გაფორმება, შეფუთვა დალუქვა მათი უსაფრთხოდ შენახვა;

დაქტილოსკოპიური კვლების აღმოჩენა, ფიქსაცია ამოღება, შეფუთვა და კვლების დაცვა;

დაქტილოსკოპიური ბარათის შედგენა;

დაქტილოსკოპიური კვლების ცენტრალურ ბაზაში გაგზავნა.

დასკვნის უნარი

შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.

შეუძლია: განსხვავებულ სიტუაციებში მუშაობისას პრობლემების გადასაჭრელად საჭირო ინფორმაციით სარგებლობა; ფოტოგადაღების შესატყვისი მეთოდის შერჩევა; არასაკმარისი ფაქტობრივი მოცემულობის გამო კვალის გამოვლინების სირთულის დროს შესაბამისი მიდგომის შემუშავება.

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია კრიმინალისტიკის პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენებით .

შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია კვალის აღმოჩენის, ფიქსირების საკითხებთან დაკავშირებით. ფლობს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, კომპიუტერული გრაფიკის რედაქტორებს. შეუძლია კრიმინალისტიკასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება. შეუძლია უცხო ენაზე კომუნიკაცია პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად.

სწავლის უნარი

შეუძლია წინასწარ განსაღვრულ ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება

შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება - ფოტოგრაფიული და კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დონის გაღრმავება და კრიმინალისტიკის პროფესიის დასაუფლებლად სწავლის გაგრძელებაზე

ღირებულებები

შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში კრიმინალისტიკის პროფესიისთვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად მოქმედება.

გაცნობიერებული აქვს პროფესიული მუშაობის იურიდიული და ეთიკური ასპექტები. ურთიერთობისას იცავს პროფესიული ქცევის ნორმებს და უსაფრთხოების წესებს. პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული სამუშაოს დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე. აცნობიერებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გადაღებული ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის მნიშვნელობას.

შეფასების წესი

	<p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა; • (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90ქულა; • (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80ქულა; • (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70ქულა; • (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; <p>ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>სილაბუსებში მოცემულია სტუდენტის ცოდნის შეფასების შესაბამისი ფორმები და მეთოდები. შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე http://www.gtu.ge/quality/axali/shefasebisforma.pdf</p>
საკონტაქტო პირი (ციალა გლოველი / 599961110 / c.gloveli@gtu.ge /)	

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	
კრიმინალისტიკის (ფოტოდაქტილოსკოპისტი)	
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
	60
	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
	კრიმინალისტიკის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია
	სწავლების ენა

	<p>ქართული</p>
	<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>
	<p>პროგრამის მიზანია აღზარდოს თანამედროვე მოთხოვნების კრიმინალისტი, რომელიც წვლილს შეიტანს ჩვენი საზოგადოების სამართლებრივი შეგნების მქონე საზოგადოებად გარდაქმნაში და ქვეყანაში კრიმინალისტიკის განვითარებაში.</p> <p>მომზადოს კურსდამთავრებული, რომელსაც ექნება საგამომიებო მოქმედებებში სისხლის სამართლის ნორმების დაცვით მონაწილეობის უნარი, შემთხვევის ადგილის შესწავლის, მატერიალური მტკიცებულებების აღმოჩენის, ფიქსაციისა და ამოღების უნარი.</p>
	<p>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი</p>
	<p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>აქვს კრიმინალისტიკის სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p> <p>იცის:</p> <p>სისხლის სამართლის მატერიალური (ზოგადი ნაწილი) და პროცესუალური ნორმები - საპროცესო მოქმედების განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები, მტკიცებულებათა სამართლებრივი საკითხები. გაცნობიერებული აქვს საგამომიებო მოქმედებების განხორციელების პროცესუალური ეტაპები.</p> <p>იცის:</p> <p>კრიმინალისტიკური ტექნიკა და ტაქტიკა, კრიმინალისტიკური ბალისტიკის საფუძვლები, ტრასოლოგია. კვალწარმოქმნის მექანიზმები სპეციფიკა და მათთან მუშაობა;</p> <p>ექსპერტიზის სახეობები, ფორმები და პროცესუალური საკითხები;</p> <p>ექსპერტიზისათვის ჩასატარებელი ნიმუშების თემატური კლასიფიკაცია და მათი მომზადება შემდგომი საჭიროებისათვის;</p> <p>კრიმინალისტიკური რეგისტრაციის სახეები და მათი მნიშვნელობა;</p> <p>კვალის აღმოჩენის პროცესში გამოსაყენებელი საშუალებები და მათი გამოყენების თავისებურებები.</p> <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p> <p>შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>

შეუძლია:

ტრასოლოგიური, ბალისტიკური მიკრონაწილაკების ბიოლოგიური და სხვა კვლების აღმოჩენა, ფიქსაცია, ამოღება და მათი პროცესუალურად გაფორმება;

მიღებული კვლების შენახვა და უსაფრთხოდ ტრანსპორტირება;

აღმოჩენილი ნივთიერი მტკიცებულებებისა და კვლების შესახებ ცენტრალურ ბაზებში საჭირო ინფორმაციის თემატიკის მიხედვით გადაგზავნა.

დასკვნის უნარი

შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი .

შეუძლია შემთხვევის ადგილის შესწავლის საფუძველზე განსაზღვროს ობიექტის იდენტიფიცირებისათვის აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებების წრე;

აქვს უნარი, კვალის დასაფიქსირებლად მოახდინოს მისი წარმოქმნის მიზეზებისა და სპეციფიკის ანალიზი და მიღებული დასკვნის საფუძველზე შეარჩიოს შესაბამისი საშუალებები;

შეუძლია რთულ სიტუაციებში გადაწყვეტილების მიღება მტკიცებულებათა გამოსავლენად და დასაფიქსირებლად.

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია კრიმინალისტიკის პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება;

შეუძლია პროფესიულ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. შეუძლია კომუნიკაცია პროცესში მონაწილე პირებთან. ეფექტურად იყენებს პროფესიულ საქმიანობაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია მონაცემთა ცხრილურ რედაქტორებთან მუშაობა;

აქვს მიღებული შედეგების ინფორმაციულად ადგილზე მიღების, დამუშავებისა და დისტანციაზე გადაცემის უნარი.

სწავლის უნარი

საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში;

შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს სწავლის გაგრძელების მიმართულებები კრიმინალისტიკის სფეროში

ღირებულებები

	<p>კრიმინალისტიკის პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი პასუხისმგებლობით დამოკიდებულება და ცვალებად სიტუაციებში მათ შესაბამისად მოქმედება.</p> <p>იცავს კრიმინალისტიკის პროფესიისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და მოქმედებს მათ შესაბამისად. პასუხისმგებლობით ეკიდება საპროცესო მოქმედების სხვა მონაწილის პროცესუალურ უფლებებს. აცნობიერებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოპოვებული ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის მნიშვნელობას. არასამსახურებრივი მიზნებისთვის არ იყენებს მიღებულ ინფორმაციას.</p>
	<p>შეფასების წესი</p>
	<p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა; • (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90ქულა; • (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80ქულა; • (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70ქულა; • (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; <p>ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>სილაბუსებში მოცემულია სტუდენტის ცოდნის შეფასების შესაბამისი ფორმები და მეთოდები. შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე http://www.gtu.ge/quality/axali/shefasebisforma.pdf</p>
	<p>საკონტაქტო პირი (ციალა გლოველი /599961110/ c.gloveli@gtu.ge /)</p>

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	
მიკროელექტრონიკის და ოპტოელექტრონიკის ტექნოლოგიისა და მოწყობილობების ტექნიკოსი	
პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)	
60	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
მიკროელექტრონიკის და ოპტოელექტრონიკის ტექნოლოგიისა და მოწყობილობების ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	
სწავლების ენა	
ქართული	
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	
პროგრამის მიზანია მოამზადოს მეოთხე საფეხურის მიკროელექტრონიკის და ოპტოელექტრონიკის ტექნოლოგიისა და მოწყობილობების ტექნიკოსი, რომელსაც შეუძლია მიკრო- და ოპტოელექტრონული ხელსაწყოების დამზადების ტექნოლოგიური პროცესების ჩატარება შესაბამისი ტექნოლოგიური დოკუმენტაციის საფუძველზე; მიკროელექტრონული და ოპტოელექტრონული მოწყობილობების (მათ შორის საყოფაცხოვრებო და სამედიცინო ტექნიკის) ექსპლუატაცია, დიაგნოსტიკა და რემონტი არსებული ტექნიკური და საექსპლუატაციო წესების მიხედვით.	
საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი	
ცოდნა და გაცნობიერება	აქვს თავისი პროფესიის სფეროში ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა. აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს. აქვს მიკრო- და ოპტოელექტრონული ხელსაწყოების მახასიათებლების და მათი მიღების ტექნოლოგიური პროცესების შესწავლის შედეგად მიღებული ცოდნა ამ ხელსაწყოების ძირითადი პარამეტრების,

		<p>საექსპლუატაციო მახასიათებლების და ტექნოლოგიური რეჟიმების შესახებ. აცნობიერებს ამ ხელსაწყოებზე შექმნილი მოწყობილობების (მათ შორის საყოფაცხოვრებო და სამედიცინო ტექნიკის) მუშაობის პრინციპებს და მათი რემონტის საკითხებს.</p>
	<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში ინფორმაციის წყაროების გამოყენება, წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად სტრატეგიის შემუშავება და მიღებული შედეგების შეფასება. აქვს უნარი მიღებული ინფორმაციის გამოყენებით გააანალიზოს კონკრეტული ტექნიკური პრობლემა. შეუძლია სხვადასხვა დანიშნულების (მათ შორის საყოფაცხოვრებო და სამედიცინო ტექნიკის) ელექტრონული და ოპტოელექტრონული ხელსაწყოების მწყობრიდან გამოსული ბლოკების შეცვლა შესაბამისი სტანდარტების დაცვით, მათი რემონტი.</p>
	<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგების ანალიზი. აქვს მიკრო- და ოპტოელექტრონული მოწყობილობების რემონტის ოპტიმალური ვარიანტის შერჩევისა და შესაბამისი დასკვნის გაკეთების უნარი.</p>
		<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში. ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო</p>

<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება. პროფესიასთან დაკავშირებული უცხო ენაზე მიღებული ინფორმაციის დამუშავება. აქვს უნარი მათი გამოყენებით ათვისოს ახალი ტექნოლოგიები მიკრო- და ოპტოელექტრონიკაში ელექტრონული ტექნიკის სხვადასხვა სფეროში(მათ შორის საყოფაცხოვრებო და სამედიცინო ტექნიკის) გამოსაყენებლად.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულების დამოუკიდებლად განსაზღვრა სხვადასხვა ვითარებაში მიკრო- და ოპტოელექტრონიკის გარკვეული მიმართულებით. აქვს უნარი ხელმძღვანელის დახმარებით ააწყოს ელექტრული სქემის ცალკეული (მარტივი) ნაწილი.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და მოქმედებს მათ შესაბამისად. ითვალისწინებს ელექტრული და ოპტოელექტრონული ხელსაწყოების გამოყენების სფეროებს. განუხრელად იცავს ამ ხელსაწყოების მიღების ტექნოლოგიურ რეჟიმებს და მათი ექსპლოატაციის პირობებს.</p>
<p>შეფასების წესი</p>	
<p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით. დადებით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; • (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; • (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; 	

	<ul style="list-style-type: none"> • (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
<p>საკონტაქტო პირი (ქეთევან კოტეტიშვილი/ 599-50-48-21 / ketinooo@hotmail.com / მ.კოსტავას 77, სტუ-ს მეოთხე კორპუსი, მეოთხე სართული, ოთახი 403)</p>	
<p align="center">პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა</p>	
<p>მიკროელექტრონიკის და ოპტოელექტრონიკის ტექნოლოგიისა და მოწყობილობების ტექნიკოსი</p>	
	<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)</p>
	<p>60</p>
	<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>
	<p>მიკროელექტრონიკის და ოპტოელექტრონიკის ტექნოლოგიისა და მოწყობილობების ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია</p>
	<p>სწავლების ენა</p>
	<p>ქართული</p>
	<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>
	<p>პროგრამის მიზანია მოამზადოს მეხუთე საფეხურის მიკროელექტრონიკის და ოპტოელექტრონიკის ტექნოლოგიისა და მოწყობილობების ტექნიკოსი, რომელსაც შეეძლება დამოუკიდებლად მიკროელექტრონული და ოპტოელექტრონული; მოწყობილობების (მათ შორის საყოფაცხოვრებო და სამედიცინო ტექნიკის) სერვისული მოსახურება არსებული ტექნიკური და საექსპლუატაციო წესების მიხედვით. შეეძლება ჩაატაროს ტექნოლოგიური პროცესები გაარჩიოს ელექტრონული სქემები და პრაქტიკულად გამოიყენოს მონტაჟისა და რემონტის დროს.</p>

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი	
ცოდნა და გაცნობიერება	აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს). ათვისებული აქვს მიკრო- და ოპტოელექტრონიკის ფიზიკური საფუძვლები, მათი გამოყენების სფეროები და საზღვრები. დამოუკიდებლად შეუძლია ჩაატაროს ტექნოლოგიური პროცესები, გაარჩიოს სქემები და გამოიყენოს პრაქტიკულად მონტაჟის და რემონტის დროს. გაცნობიერებული აქვს ელექტრონული მრეწველობის ეკონომიკის სპეციფიკა.
